GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

მარკირების ინგლისურად

ბუნებრივი - ნერსქვი - ვერხვიანი

თბილისი, ბარნობის ქ. #30
info@ecotourism.ge

ა(ა)იპ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია

www.ecotourism.com

შინაარსი

შესავალი 2

შესრულებული სამუშაოების აღწერა 2

ვიზუალური მასალა 3

შესავალი

ანგარიში მომზადებულია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციას“ და ა(ა)იპ „საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება #015-UNDP-DGG/2022-ის ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შაუმიანი - წერაქვი - გორული - ფოლადაურის ხეობის საფეხმავლო მარშრუტის მარკირების სამუშაოების განხორციელებას. მოცემული პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით და საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით.

პროექტის განხორციელებისთვის, გვსურს მადლობა გადავუხადოთ, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას და მის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი ელგუჯა კუპატაძეს, პროექტის განსახორციელებლად საჭირო მასალების და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში გაწეული დახმარებისთვის.

შესრულებული სამუშაოების აღწერა

პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა საველე დაზვერვითი გასვლა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, სადაც შემოწმდა ტურისტული ბილიკის ამჟამინდელი მდგომარეობა და მარკირების პროექტთან მისი შესაბამისობა. მეორე ეტაპზე კი განხორციელდა მარშრუტის უშუალო მარკირება. პროექტის ფარგლებში დამზადდა და დამონტაჟდა საინფორმაციო დაფები მარშრუტის დასაწყისსა და ბოლოში, ასევე დამონტაჟდა შესაბამის წერტილებში მანიშნებელი დაფები და მოხდა მარშრუტის საღებავით მარკირება. ყველა აღნიშნული სამუშაო განხორციელდა საფეხმავლო მარშრუტების მონიშვნისა და მარკირების ტექნიკური რეგლამენტის მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

სამუშაოების განხორციელების პროცესში დასაქმებულ მუშახელს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობა სოფლებიდან: შაუმიანი, ოფრეთი და სიონი. მარშრუტის მარკირების სამუშაოებში მნიშვნელოვანი დახმარება ელგუჯა კუპატაძესთან ერთად გაგვიწიეს აღნიშნული სოფლების რწმუნებულებმაც.

ვიზუალური მასალა



WOM-669